ქართველოლოგიური ქრონიკა
CHRONICLE OF EVENTS



## უცნობი ხელნაწერი თუ ფალსიფიკაცია?

ორიოდე წლის წინ ცნობილმა ქართველმა გეოლოგმა დავით არევაძემ მიამბო და შემდეგ წერილით მომმართა ერთი ძველი ამბის შესახებ, რომელიც მას ერთგვარად ისევ აწუხებდა.

საქმე ეხება 8 წლის წინ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში მისი მივლინების პერიოდის დროინდელ ცნობას ერთი ძველი შემთხვევით აღმოჩენილ სირიული ხელნაწერის შესახებ. ბატონი დავითი დარდობდა, რომ მან, მიუხედავად მონდომებისა და მიღებული ზომებისა, ვერ შეძლო ამ ამბით მეცნიერთა სათანადო წრეების დაინტერესება.

იმ ფაქტების უკან, რაც ბატონმა დავითმა მიამბო, სავარაუდებელია, ყალბისმქმნელ გამომძალველთა საქმიანობა იმალებოდეს; თუმცა არაა გამორიცხული, რომ მართლაც ძველი სირიული ქრისტიანული მწერლობის უცნობ ნიმუშებთან გვქონდეს საქმე. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ამ ფაქტის უფრო ფართო სამეცნიერო წრეებისათვის გაცნობის მიზნით, ჩვენს ხელთ არსებული მასალის გამოქვეყნება.

ამბავი, რომლის შესახებაც გარკვეულ მასალას ჩვენ ვაქვეყნებთ, საკმაოდ ძველია და შესაძლებელია უცხოელ სპეციალისტთა მიერ უკვე გაანალიზებულია; მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ამ ფაქტს სათანადო ყურადღება არ მიექცა, რამდენადაც ბატონი დავითის მიერ მითითებული რეგიონი გეოპოლიტიკურად საკმაოდ რთულია. ამიტომაც უკომენტაროდ ვაქვეყნებთ ჟურნალის რედაქციაში შემოსულ მიწერ-მოწერას და რამდენიმე ფრაგმენტს ბატონი დავითის გადმოგზავნილი ვიდეომასალიდან.

*რედაქტორი*

*ბატონო ელგუჯა,*

*2011 წლის სექტემბერში თურქეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთის შემდინლის რაიონში, სადაც ვიმყოფებოდი როგორც ექსპერტი გეოლოგი მე შემახვედრეს ორ ახალგაზრდა ადგილობრივ მოქალაქეს, რომელთაც განმიცხადეს, რომ კლდეში, საიდუმლო სამალავში აღმოაჩინეს ქვის სარკოფაგი ხბოს ტყავზე დაწერილი (შესრულებული) ტექსტითა და ნახატებით.*

*მათ თხოვნაზე, რომ წავყოლოდი და როგორც სპეციალისტს შემეფასებინა მათ მიერ ნაპოვნი არტეფაქტები მე განვუცხადე, რომ არა ვარ არც არქეოლოგი და არც ხელნაწერების სპეციალისტი და ვურჩიე, რომ სარკოფაგი გადაეტანათ შენობაში და გადაეღოთ მისთვის სურათები და ვიდეო, რომლებიც ეჩვენებინათ სპეციალისტებისათვის ან გამოექვეყნებინათ პრესაში.*

*ორიოდე კვირის შემდეგ იგივე ახალგაზრდები გამოცხადდნენ ჩემთან, შემატყობინეს, რომ სარკოფაგი გადაიტანეს ავტომობილის სადგომში, გადაუღეს ვიდეოკლიპი და შემომთავაზეს შემეძინა არტიფაქტები ორ მილიონ დოლარად.*

*მე მათ უარი ვუთხარი შემოთავაზებაზე, მაგრამ ვიდეოკლიპი წამოვიღე საქართველოში და ვაჩვენე (წარვუდგინე) ცნობილ ენათმეცნიერს, საქართველოს აკადემიის წევრს ბატონ ზაზა ალექსიძეს, რომელმაც თავის მხრივ ვიდეოკლიპი გადასცა არამეული დამწერლობისა და სირიული ტექსტების ცნობილ მკვლევარს ოქსფორდის უნივერსიტეტიდან, ბრიტანეთის აკადემიის წევრს პროფესორ სებასტიან ბროკს.*

*ქვემოთ მომყავს ბატონი ზაზა ალექსიძისა და ბატონი სებასტიან ბროკის წერილები.*

*ბატონო დავით,*

*მაპატიეთ, რომ დიდ ხანს ვერ შემოგეხმიანეთ. თავდაპირველად გაძნელდა მაილით ყველა მონაცემის გაგზავნა. შემდეგ ჩემი ვაჟის საშუალებით მოვახერხე. გუშინ დავბრუნდი ვენიდან, სადაც შევხვდი ჩემს მეგობარს სებასტიან ბროკს, დღეისათვის ყველაზე დიდ სპეციალისტს სირიულსა და სირიულ არამეულში.*

*ისიც საპასუხოდ არ აჩქარებულა, რადგან იცოდა, რომ ვენაში შევხვდებოდით. მითხრა, რომ ერთი ფურცელი გაუშიფრავს და აღმოჩნდა სირიული ტექსტი მათეს სახარებიდან. ათარიღებს მერვე-მეცხრე საუკუნეებით. როდესაც ვისაუბრეთ ორივე იმ დასკვნამდე მივედით, რომ მთელი ტექსტიც სახარება უნდა იყოს, ან უკიდურეს შემთხვევაში მთლიანად ახალი აღთქმა (მოცულობის მიხედვით ეს ნაკლებ სავარაუდოა). ჯერჯერობით სულ ეს არის.*

*პატივისცემით,*
*ზ. ალექსიძე*

*2013/11/2*
*zaza_alexidze@hotmail.com*

*ძვირფასო ზაზა,*

*ძალიან კარგი იყო შენთან შეხვედრა ვენაში! რაც შეეხება იმ სურათებს, შენ რომ გადმომიგზავნე, ერთი სურათის იდენტიფიცირება შევძელი – ესაა მათე 5:10-12, სხვა სურათებში არ იკითხება სათანადო ტექსტი, რომ მოხდეს მათი ამოცნობა. ხელწერა ჩანს საკმაოდ ძველი, სავარაუდოა მერვე-მეცხრე საუკუნე, პლიუს-მინუს. ძრო მალე ამოიწურა, რომ ხელმეორედ გადამეხედა სურათებისთვის.*

*დ. არევაძე*

*05.05.2019*